ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №360

13 დეკემბერი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 6 იანვრის №5 ბრძანების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის გაფორმებულ 2011 წლის 12 იანვრის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2013 წლის 05 დეკემბრის №01/252067 წერილისა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნული არქივის 2013 წლის 31 ოქტომბრის №01-0/11422 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 06 იანვრის №5 ბრძანების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის გაფორმებულ 2011 წლის 12 იანვრის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში, კერძოდ:

   ა) მოსარგებლე მხარედ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაცვლად განისაზღვროს – ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში – ,,უზუფრუქტუარი);

   ბ) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული ჩოხატაურში, დუმბაძის ქ. №2–ში მდებარე შენობა–ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 252.10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი –

28.01.22.072.01.500) ამოირიცხოს 9.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი და ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდეს 243.10 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე.

2. გამოთავისუფლებული 9.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის დაბრუნება განხორციელდეს მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე;
3. ,,უზუფრუქტუარმა“ უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების გატარება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი ცვლილების ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბ მისამართზე – ჭავჭავაძის ქყ 3 §ყ
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს

თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია ბ

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*